აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№126 (25.006) ხუთშაბათი, 17 - 18 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი. ევროკომისარმა პირისპირ შეხვედრა გამართა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, ასევე, შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს. პარლამენტში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ უმრავლესობის და საპარლამენტო ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენლებიც. საუბარი შეეხო 12 რეკომენდაციას, რომელიც ევროკომისიამ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად დაუსახა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობისა და რეგიონული მნიშვნელობის საკითხები. ხაზი გაესვა სამხრეთ კავკასიაში ვითარების გაუმჯობესების და ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯების განხორციელების მნიშვნელობას, ასევე, საქართველოსა და სომხეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მუდმივი განვითარების აუცილებლობას. ირაკლი ღარიბაშვილი და ნიკოლ ფაშინიანი შეთანხმდნენ საქართველო-სომხეთის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გამართვის თაობაზე ერევანში, 2023 წლის დასაწყისში.

* * *

„სამართლიანი არჩევნები“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ. მათი შეფასებით, 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად დაგეგმილი საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებით სრულად არ ხდება ეუთო-ოდირისა და ევროპის საბჭო-ვენეციის კომისიის ყველა არსებითი ხასიათის რეკომენდაციის გათვალისწინება. ერთობლივ განცხადებაში ასევე, აღნიშნულია, რომ მომზადებული რიგი ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან რეკომენდებული არ ყოფილა, დადებითად შეიძლება შეფასდეს.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ამის შესახებ მან გუშინ ბრიფინგზე განაცხადა. ხაბეიშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დაუბრუნდეს იმ ხალხს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია „ვარდების რევოლუციის“ იდეალები. არსებული ინფორმაციით, ამ დრომდე „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული იყო ნიკა მელიას (მოქმედი თავმჯდომარე), გიორგი მუმლაძის და გიორგი ჩალაძის კანდიდატურები.

მოამზადა
ია შველიძემ

სახალხო დღესასწაული - «შემოდგომა ქედაში»

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ვანო პაპუნიძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენდიდის მკვიდრია. თანარაიონელთა სახალხო დღესასწაულზე «შემოდგომა ქედაში» («შრომის ზეიმი», «ქედობა») ათეული წლებია მონაწილეობს. ამჯერად ზეიმზე მას პროფესორი გურამ პაპუნიძე, მეგობარი ვახტანგ ჩახვაძე, ბიზნესმენი თენგიზ ბაკურიძე, დანდალოელი პეტრე არძენაძე, ახლობელი მირიან პაპუნიძე ახლდნენ. თენგიზ ბაკურიძეს ქედელები უკვე კარგად იცნობენ - იგი მდინარე აკვარეთაზე მცირე ჰესს აშენებს

- ქედა და ქედელები ჩემთვის უცხო არასდროს ყოფილან, მაგრამ წელს პირველად მერგო პატივი, სახალხო დღესასწაული «შემოდგომა ქედაში» მათთან ერთად ვიზეიმო. თვალს უხარია, როცა ფრიდონ ხალვაშის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მომღიმარ, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე ქედელებს, აჭარის მუნიციპალიტეტებიდან, თბილისიდან, სხვა რეგიონებიდან მოპატიჟებულ ადამიანებს ვხედავ, - გვითხრა თენგიზ ბაკურიძემ.

- ქედელებს სახალხო დღესასწაულიც მოგვენატრა და ერთმანეთის მოფერებაც, - აღნიშნა პეტრე არძენაძემ, რომელიც ბათუმში ცხოვრებისა და საქმიანობის მიუხედავად, ქედასთან ყოველდღიურ კავშირშია.

მასპინძლებსა და სტუმრებს კარგად ახსოვთ ტრადიციული სახალხო დღესასწაულის ადრინდელი ფორმატი. ორგანიზატორებმა წელს მოზეიმეებს სრულიად განსხვავებული სცენარი შესთავაზეს, რამაც ზეიმს მეტი ელფერი შესძინა.

ქედაში ყურძნის რამდენიმე ადგილობრივი ჯიში ხარობს. ვაზს გამორჩეულად უვლიან მერისელი, საღორეთელი, ცხმორისელი, ჯალაბაშვილელი, გეგელიძეებელი მევენახეები. მარნების, სანახაობითი ობიექტების მოწყობით ტურისტებსაც იზიდავენ. მახუნცეთის, დანდალოს, ვაიოს, მერისის ტურისტულ ლოკაციებზე უკვე მილიონობით ვიზიტიორმა დააგემოვნა ქედის ჩხავერის, ცოლიკაურის, ალადასტურის, საწურის, ხოფათურის და სხვა ჯიშების ყურძნის ნაყური.

ქედის ღვინის ქარხნის პროდუქციასთან ერთად, ზეიმზე თავისი ღვინოები მოიტანეს ოქტომბრელმა აბესალომ ნაკაშიძემ, ნიაზ შერვაშიძემ, გეგელიძეებელმა ნური სირაბიძემ, რამაზ ბალაძემ, დანდალოელმა ზურაბ ავალიანმა, წონიარისელმა ამირან მახარაძემ, საღორეთელმა ნოდარ შერვაშიძემ, ზენდიდელმა მირიან პაპუნიძემ, დანდალოელმა შორენა ტარიელაძემ, კოლოტაურელმა ნაზიმ ფუტკარაძემ...

სტუმრის თვალს იტაცებდა ეთნოგრაფია, ხეზე კვეთის ნიმუშები, შემოდგომის ხვავ-ბარაქა. აღსანიშნავია, რომ უძველეს მუსიკალურ ინსტრუმენტს - ჭიბონს მხოლოდ ქედაში აკეთებენ. ვასო ირემაძის, ალისულთან ზაქარაძის, მერდიალ თავართქილაძის საქმიანობას თემურ არძენაძის, მურად და ისმაილ თავართქილაძეების სახით ღირსეული გამგრძელებლები ჰყავს. ისინი მოზეიმეებს ჭიბონის დამზადების ტექნოლოგიასაც აცნობდნენ და საცეკვაო მუსიკასაც უკრავდნენ.

ქარგვა, ჭრა-კერვა ქედელის ოჯახში ტრადიციული საქმიანობაა. ქედის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვა ოსტატების ირმა, მარეხ დიასამიძეების, მარინა ბერიძის, მადონა, მაყვალა, თამაზ თურმანიძეების, დონარი აკვაზბას, სალომე ჯაბნიძის, ლია ავალიანის, ნანი ბოლქვაძისა და სხვათა ნამუშევრები დაათვალიერეს მოზეიმეებმა წლევანდელ დღესასწაულზე.

იხ. №3-6 გვ.

წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვეს

ბათუმის საზაფხულო თეატრში წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება გაიმართა. ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ

საგნობრივ კონკურსებსა და ოლიმპიადებში გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადასცეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

- ვულოცავ დღევანდელ წარმატებას ყველა იმ მოსწავლეს, რომლებმაც სხვადასხვა კონკურსსა და ოლიმპიადაში გამარჯვება მოიპოვეს. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წახალისება და მოტივაციის ამაღლება, რაც მათ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს. წარმატებები მინდა ვუსურვო თითოეულ მათგანს! - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

მომავალი თაობის მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის კონკურსებსა და ოლიმპიადებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2012 წლიდან ატარებს. 2021 წელს კონკურსებსა და ოლიმპიადებში მონაწილე საჯარო და კერძო სკოლების 15 000-მდე მოსწავლიდან საპრიზო ადგილზე 133 გავიდა. მათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები - ლეპტოპები, პლანშეტები, ჩანთები გადაეცათ, 86 მოსწავლე კი, მიღწეული წარმატებისათვის, სიგელებით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ ესეების კონკურსში გამარჯვებული 10 მოსწავლე ერთკვირიანი ტურით პოლონეთის ქალაქ ვროცლავში იმყოფებოდა.

ია შველიძე

«ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნისა და მომავალი თაობების ღალატია»

3

«პირველი ავტოგრაფი» - მეორედ

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რთველში ჩაერთნენ

ქედაში ყურძნის უნიკალური ჯიშის, ჩხავერის რთველი მიმდინარეობს. წელს მუნიციპალიტეტში ჩხავერის ყურძნის 200 ტონამდე მოსავალს ელოდებიან

სოფელ პირველ მაისში, დავით შავლიძის ვენახში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, ჩხავერის რთველში მიიღო მონაწილეობა.

მევენახე ფერმერმა ჩხავერის ჯიში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ფარგლებში, 2000 კვმ ფართობზე გააშენა. აჭარაში ვენახის საერთო ფართობი 180 ჰექტარს შეადგენს, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში - 82 ჰექტარს, აქედან ჩხავერით დაკავებულია 20 ჰა ფართობი.

რთველის შემდეგ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ტრადიციულ დღესასწაულს „შემოდგომა ქედაში“ დაესწრნენ.

ანკა ჩხიკვაძე

შემოვლითი გზის მშენებლობა განახლდა

ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა ბოლო რამდენიმე თვე შეჩერებული იყო. როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, მშენებლობაზე არსებული პრობლემები გადაჭრილია და სამშენებლო სამუშაოები განახლდა



3 გვირაბის და 14 ხიდის მშენებლობა უკვე დასრულებულია, დანარჩენ 2 გვირაბზე ბურღვა-აფეთქების სამუშაოები მიმდინარეობს; ასევე გრძელდება დარჩენილი ხიდების სამშენებლო სამუშაოები.

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის ფარგლებში, 14 კმ-იანი 2 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, 20 სახიდე გადასასვლელი და 5 გვირაბი შენდება.

ახალი შემოვლითი გზა გაივლის: მახინჯაურს, განთიადს, კაპრეშუმს, სალიბაურს, ფერიას, მახვილაურსა და ხელვაჩაურს.

ამჟამად არსებული გზა ტურისტულ და საცხოვრებელ ზონაში გადის, რაც ართულებს საერთაშორისო სატრანზიტო ტრანსპორტის მიმოსვლას.

პროექტის განხორციელების შედეგად, ბათუმის შემოვლითი გზა ქობულეთის შემოვლით გზასთან ერთად, სრულად განტვირთავს მოძრაობას აჭარის საკურორტო ზონაში, რაც ხელს შეუწყობს სატრანზიტო ტვირთბრუნვის გაზრდას.

პროექტს აზიის განვითარების ბანკი (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) აფინანსებს.

ბათუმის ავტობანის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2023 წელს დასრულდება და მისი მშენებლობისთვის 329 630 734 ლარი დაიხარჯება.

ანკა ჩხიკვაძე

„არა ფემიციდს“ - მასშტაბური საინფორმაციო კამპანია

პროკურატურის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში აქტიურად აგრძელებენ საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ფემიციდის დანაშაულების პრევენციის მიზნით.

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის - „არა ფემიციდს“ ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორებმა ბათუმის, ხელვაჩაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. მათ ადგილობრივ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამომწვევი მიზეზების, გენდერული სტერეოტიპების, დანაშაულის პრევენციისთვის საზოგადოების და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობის თაობაზე, გააცნეს საქართველოს პროკურატურის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები. როგორც პროკურორებმა აღნიშნეს, ფემიციდთან საბრძოლველად საჭიროა საზოგადოების ჩართულობა და ძალადობის პირველივე შემთხვევის შესახებ შეტყობინება, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება მძიმე დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

ბათუმის, ხელვაჩაურის და ოზურგეთის მოსახლეობასთან შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართა. პროკურატურის წარმომადგენლებმა და შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და ოჯახური დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, მათზე რეაგირების გზები და ბარიერები, რომელსაც ძალადობის მსხვერპლი ქალები აწყდებიან.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულების დროს დაზარალებულთა საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებსა და ფემიციდის პრევენციის კუთხით ერთობლივი მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women).

ანკა ჩხიკვაძე

სტუდენტები მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ. სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრთა ნაკადების კონტროლთან დაკავშირებით საკუთარი იდეები წარმოადგინეს

მუნიციპალური ინსპექციის დირექტორმა არჩილ კონცელიძემ, ტრანსპორტის მიმართულების ხელმძღვანელ პირებთან ერთად სტუდენტებს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები გააცნო და სამსახურის გამოწვევებზე ესაუბრა.

ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის კონტროლიორები მუნიციპალურ ტრანსპორტში მონიტორინგს სხვადასხვა ლოკაციაზე, ქალაქს შეერთებული ტერიტორიების ჩათვლით, ყოველდღიურად ახორციელებენ. ავტოსატრანსპორტო საშუალებით უბილეთოდ გადაადგილება, 20 ლარის ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს.

BLOOMBERG-ი - ბათუმზე

გავლენიანი ტელეკომპანია BLOOMBERG-ი ბათუმის, როგორც საინვესტიციო და მრავალფეროვანი ბიზნეს შესაძლებლობების ქალაქის შესახებ სიუჟეტს ავრცელებს.

loomberg-ი მკითხველს ბათუმში მოგზაურობას ურჩევს და ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ქალაქის შესახებ მოკლე ექსკურსს სთავაზობს:

„ზაფხულში ბათუმი საქართველოს მეორე დედაქალაქი ხდება, ეს არის ქალაქი, რომელიც გამოირჩევა ცოცხალი ხელოვნებით, მუსიკითა და აზიური გავლენით შეზავებული სამზარეულოთი. ბათუმი სრული სიმძლავრით წინ მიიწევს. წელს, ბათუმი World Travel Awards“-მა ევროპის სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებად დაასახელა. აქ თქვენ შეხვდებით საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ არქაულ კულტურულ ღირსშესანიშნაობებს“, - წერს Bloomberg-ი.

„ბათუმი ისტორიულად ვაჭრობის ცენტრი იყო, ახლა კი დროა, ქალაქმა ეს სტატუსი კიდევ უფრო განიმტკიცოს“ - აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ამ სიტყვებით იწყება სიუჟეტი, რომელშიც ბათუმში მიმდინარე მსხვილ საინვესტიციო-ტურისტულ პროექტებზე, ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემო პირობებზე, ეკონომიკური ზრდის ტენდენციებსა და ქალაქის მრავალფეროვან ტურისტულ გარემოზეა საუბარი.

„ეკონომიკური თვალსაზრისით, აჭარა ნამდვილად არის მოწინავე და მაღალი კლასის სასტუმროების არსებობა ახდენს მის, როგორც ტურისტული მიმართულების, პოზიციონირებას მსოფლიოში. ჩვენი მიზანია, შევქმნათ მიმზიდველი გარემო გლობალური ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისთვის.“

ვიდეო, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით ბიზნესწრეების

მილიონობით წარმომადგენელი იხილავს, ყურადღება ბათუმის, როგორც საერთაშორისო ბრენდებისა და ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქალაქის ბიზნეს შესაძლებლობებს ეთმობა.

„ჩვენ დიდი ინვესტიცია განვახორციელეთ საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. აჭარის რეგიონს აქვს პოტენციალი, იყოს მოწინავე არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში,“ - აცხადებს თორნიკე რიჟვაძე BLOOMBERG-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

სატელევიზიო კამპანია, რომელიც ბათუმის შესახებ მომზადებულ სიუჟეტთან ერთად ვრცელ სტატიას და ონლაინრეკლამას ითვალისწინებს, BLOOMBERG-ის ეთერში უკვე ჩაეშვა.

ანკა ჩხიკვაძე

ოპოზიცია

„ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნისა და მომავალი თაობების ღალატია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მართალია, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წელი დარჩა, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ ველზე პოლიტიკოსები დროს არ კარგავენ, მაქსიმალურად გააზრებულად მოქმედებენ. მმართველი პარტია რამდენიმე წევრმა დატოვა და ახალი ორგანიზაცია „ხალხის ძალა“ შექმნა, რომელიც, ოპოზიციის თქმით, ხელისუფლების სატელიტია

„ნაცმოძრაობაში“ შიდა განხეთქილება მატულობს, რამაც მხარეები ორ ბანაკად გაყო. სამმა პარტიამ „სამთა ალიანსი“ („სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“) ჩამოაყალიბა. აღსანიშნავია, რომ ურთიერთდაპირისპირების ერთ-ერთი ფაქტორი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება-არმიღებას უკავშირდება, ოპოზიცია ხელისუფლებას პროორუსულ ძალად მოიხსენიებს, თავის მხრივ მმართველი გუნდი ოპოზიციის ნაწილს დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს.

ჩნდება კითხვები: რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ? როგორ შეიძლება წარიმართოს პოლიტიკური პროცესები? - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თავის თვალსაზრისს „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ***ბეჭა დიასამიძე*** *გვიზიარებს.*

- ამას წინათ ბათუმში „სამთა ალიანსმა“ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. რა იყო მისი მიზანი და რა შეკითხვები დაისვა?

- შეხვედრის მიზანი საზოგადოების ფართო ფენებისთვის გაერთიანების პოლიტიკური მიზნების, ამოცანებისა და მათი გადაწყვეტის გზების გაცნობა იყო. პოლიტიკურ სპექტრში დღეს ერთიანობას ალტერნატივა არ გააჩნია. თუ გვინდა დავამარცხოთ რუსული ხელისუფლება და გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ყველა დასავლური დემოკრატიის ღირებულებების მატარებელი ძალები უნდა გავერთიანდეთ. ჩვენ ღია ვართ როგორც საუბრისთვის, ასევე თანამშრომლობისთვის პოლიტიკურ პარტიებთანაც და, ასევე, ინდივიდებთან, ვინც ჩვენსავით დემოკრატიულ ფასეულობებს იზიარებს და მზად არის ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებასთან საბრძოლველად. რაც შეეხება შეკითხვებს - სასიხარულოა, რომ საზოგადოება, როგორც არასდროს, პოზიტიურად კრიტიკულია. მოსახლეობა კარგად აანალიზებს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და გვეთანხმება, რომ ოპოზიციური პარტიების გაერთიანება საერთო იდეის გარშემო აუცილებელია. კითხვები უფრო გაერთიანების ტექნიკურ მხარეს ეხებოდა, ვიდრე შინაარსობრივს.

- ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიციის შენიშვნები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით უმართებულოა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ რამდენად სამართლიანია?

- არაერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება მოგვცა ევროკავშირმა საშინაო დავალების სახით. ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან, საქმის ნაცვლად, მხოლოდ რიტორიკა გვესმის (არაფერს ვამბობ ჩვენს ევროპელ მეგობრებზე მმართველი პარტიის თავდასხმებზე). ქვეყნის ხელისუფლება, რომელსაც ევროინტეგრაცია სურს, ასე არ იქცევა. მეტიც, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ საბოტაჟს აწყობს, რათა საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ჩვენი და ჩვენი შვილების ევროპული მომავალი ამ ხელისუფლების პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ არის და, ბუნებრივია, ჩვენი პრეტენზიები მათ მიმართ სამართლიანია!

- როგორც ცნობილია, 12 პუნქტის უმთავრესი ნაწილია დეპოლარიზაციის პირობების შესრულება, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა და პროკურატურის რეფორმის გატარება, დეოლიგარქიზაცია... ამ მხრივ ხელისუფლების და ოპოზიციის თანამშრომლობა რა სტადიაშია?

- არცერთი მიმართულებით „ქართულ ოცნებას“ წინსვლა არ აქვს. საუბარია დეპოლარიზაციაზე, მმართველი ძალა თავისი რიტორიკით კიდევ უფრო აღვივებს საზოგადოებაში დაპირისპირებას. გვინდა დამოუკიდებელი სასამართლო და მურუსიძეს აბრუნებენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კლანის გასაძლიერებლად. დეოლიგარქიაზე საუბარიც ხომ ზედმეტია. ისრები გადმოაქვთ ოპოზიციურ ფლანგზე, თითქოს ბიძინა ივანიშვილის კომპანიის ყოფილი მენეჯერები და მომსახურე პერსონალი არ იყვნენ მინისტრები და სხვა მაღალჩინოსნები, რომელთაც სახელმწიფოში მნიშვნელოვან ფინანსურ და ადმინისტრაციულ რესურსებზე მიუწვდებათ ხელი.

- რაკიღა ხელისუფლება ვახსენეთ... ოპოზიცია აღმასრულებელ ხელისუფლებას აკრიტიკებს და ეს მისი მოვალეობაა, თუმცა თუ არის ისეთი საკითხები, რაშიც ეთანხმებით?

- მიმაჩნია, რომ ოპოზიციონერის მოვალეობაა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიუთითოს ამ უკანასკნელის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, რომელიც, მისი აზრით, იწვევს ქვეყანაში ან უსამართლობას, ან არაეფექტურია და ვერ პასუხობს ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს, მაგრამ როცა დადებითი ხდება, მხარი უნდა დავუჭიროთ და მეტიც, ერთად ვიბრძოლოთ ამისთვის, რადგან ქვეყანა ერთი გვაქვს ოპოზიციასაც და პოზიციასაც. უბრალოდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში რა მიმართულებით გვაქვს წარმატება, რომ ხელისუფლებას მხარი დავუჭიროთ? საგარეო პოლიტიკაში „არგაღიზიანების“ სტრატეგიამ ქვეყანა რუსეთის ფედერაციის უკანა ეზოდ აქცია. ქვეყნის შიგნით იზრდება ნეპოტიზმი, კრიმინალი და კორუფცია. ყველა დონის არჩევნები გაყალბების, მოსყიდვისა და დაშინების ფონზე მიმდინარეობს. თავისუფალ სიტყვას ყოველდღიურად საფრთხე ემუქრება. მიტაცებულია აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ეკონომიკურ პოლიტიკას თუ შევეხებით, მწყობრი და თანმიმდევრული ხედვა არ გაგვაჩნია, ქვეყანა ვითარდება ქაოსურად და არასისტემურად. უფრო გამართლებაზე ვართ მინდობილი, ვიდრე მშრალ გათვლასა და პრაგმატიზმზე.

- საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკური ფონი ახდენს, რაც ამას წინათ სოციოლოგიურ კვლევებშიც აისახა, ამ მხრივ რა მდგომარეობაა ქვეყანაში?

- ყველა გამოკითხვაში, რაც კი ავტორიტეტულ ორგანიზაციებს ჩაუტარებიათ, პირველ სამ ძირითად პრობლემად მოსახლეობა ასახელებს: უმუშევრობას, სიღარიბეს და ინფლაციას. ეს უკვე თავისთავად მეტყველებს იმ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რის გამოც მექსიკის გავლით ჩვენი მოსახლეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გარბის. სოციალურ დახმარებას 600 ათასზე მეტი ადამიანი იღებს და კიდევ მილიონზე მეტი ამის მსურველია. 70 ათასზე მეტი ბავშვი შიმშილობს. ეს არის ჩვენი ქვეყნის რეალობა. მთავრობის არათანმიმდევრულმა ნაბიჯებმა, არაპროფესიონალიზმმა, ხედვისა და პოლიტიკური ნების უქონლობამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ევროპარლამენტის ამასწინანდელ რეზოლუციას საქართველოსთან დაკავშირებით, რომელსაც მხარეები სხვადასხვანაირად აფასებენ...

- მკაფიოდ ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ არ ადგას ევროკავშირისკენ მიმავალ გზას. გზა, რომელსაც იგი ადგას, არის რუსეთისკენ მიმავალი. ივნისში სწორედ მათ გამო ვერ მივიღეთ კანდიდატის სტატუსი და მომავალშიც დამთავრდება ნეგატიური შედეგით, ვერ მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. ამიტომ გვჭირდება პროევროპული ერთიანობა, რომელსაც ჩვენი ევროპელი პარტნიორებიც ელოდებიან და რომელიც შედეგზე გაგვიყვანს.

- „რატომ ესხმით თავს და ლანძღავთ აშშ-ის ელჩს საქართველოში?“ - ასეთი კითხვა დაუსვა თქვენმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ხელისუფლების წევრებს. თავის მხრივ მმართველი პარტია ამბობს, რომ აშშ-ის ელჩი „ნაცმოძრაობის“ ლობისტია.

- აშშ და მისი ელჩი საქართველოს და ქართველი ხალხის მეგობრები არიან და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გვაძლევს შანსს, გავხდეთ მსოფლიო ცივილური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ამ ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნისა და მომავალი თაობების ღალატია. ისტორია ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს და დიდი იმედი მაქვს, რომ ამ გამოწვევას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად თავს გავართმევთ და სახელმწიფო ინტერესებს ერთი პარტიის ინტერესებს და სურვილს - განუსაზღვრელი ვადით დარჩნენ ხელისუფლებაში, არ გადავაყოლებთ.

- ვხედავთ, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გარკვეულწილად, მმართველ პარტიას აკრიტიკებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ დასავლეთი არ ცდილობს საქართველოს ომში ჩათრევას. ეს რისი მანიშნებელია?

- იმის, რომ საქართველოს პრეზიდენტს პერიოდულად „გამონათებები“ აქვს და ამ უნიკალურ მოვლენას განსაკუთრებით მისი საერთაშორისო ვიზიტების შემდეგ ვხედავთ. იმაზე, რომ დასავლეთს ომში ჩართვა არ უნდა, წინა ინტერვიუების დროს ვრცლად ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებ. ვფიქრობ, ჩვენი მოსახლეობა ამას დღითი დღე სულ უფრო კარგად უნდა იაზრებდეს. რაც შეეხება პრეზიდენტს, მას ვალდებულება საქართველოსთან არ აქვს, იგი შუშის სასახლის მფლობელის წინაშეა ვალდებული და თუ კრიტიკულ განცხადებებს აკეთებს, მხოლოდ ხელისუფლების და არა ბიძინა ივანიშვილის „გაუღიზიანებლობის“ პოლიტიკის მიმართ.

- უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ოპოზიციაში შექმნილ მდგომარეობას, ექსპერტები აცხადებენ, რომ დღესდღეობით ოპოზიცია დამბლადაცემულია, თუმცა თქვენი პარტიის თაოსნობით შეიქმნა „სამთა ალიანსი“, ხომ არ არის მოსალოდნელი ამ კავშირის გაფართოება?

- ვფიქრობთ, გაერთიანების იდეამ ნიჰილიზმი, რომელიც დაბუდებულია ოპოციზიურ ფლანგსა და ამომრჩეველში, უნდა დაამარცხოს. მოქმედების დროა და მხოლოდ ერთობლივი ძალებით შევძლებთ ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დაცვას. იმედი გვაქვს, რომ გაერთიანება კიდევ უფრო გაძლიერდება და გაფართოვდება.

- ქართულ პოლიტიკაში ურთიერთბრალდებები არახალია, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა კითხვა დაუსვა საპარლამენტო ოპოზიციას: „როდის დატოვებთ პარლამენტს? თუ ამ ნაბიჯს არ გადადგამთ, ხელისუფლებასთან შეკრულები იქნებით“. რას უპასუხებდით მას და აქვე - თანმდევი კითხვა: რა ხდება „ნაცმოძრაობაში“?

- კითხვა მაქვს ბატონ შალვასთან - რომ არ შემოვიდა პარლამენტში, ამით რა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანები გადაწყვიტა გარედან?! პარლამენტი არის პლატფორმა, რომლის გამოყენებაც ოპოზიციურმა პარტიებმა სხვა რესურსებთან ერთად მაქსიმალურად უნდა სცადონ. თუ ეს ვერ ხერხდება, ესე იგი, ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. რაც შეეხება ენმ-ს, მიმდინარე პროცესები გარდაუვალი იყო ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე. ეს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურმა კრიზისმა გვაჩვენა, რომ პარტიის ხელმძღვანელი და პრემიერ-მინისტრი ძალიან მოკლე ხანში შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს, ეს პარტიის შიგნით ლიდერების ლეგიტიმაციისთვის საჭირო პროცესია... მოდით, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

იხ. მე-7 გვ.

> *ემიგრანტების თემა ძალიან მნიშვნელოვანია და პრინციპული დატვირთვა აქვს. თუ არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებას ვაპირებთ, ემიგრანტებმაც აუცილებლად უნდა მიიღონ მასში მონაწილეობა, რაც, ვფიქრობ, ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, რადგან მათი მხრიდან დაშინება და მოსყიდვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვერ მოქმედებს*

უცხოეთი

რაკეტები, რომლითაც პოლონეთზე იერიში მიიტანეს, უკრაინის ძალების მიერ იყო გაშვებული. ინფორმაცია ამის შესახებ გუშინ სააგენტო Associated Press-მა აშშ-ის სამ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით გაავრცელა. როგორც მათ მედიას განუცხადეს, უკრაინელები ცდილობდნენ თავდაცვას რუსული თავდასხმისგან, რომელიც მათი ენერგოინფრასტრუქტურისკენ იყო მიმართული. მანამდე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ნაკლებსავარაუდოა, რაკეტა, რომელიც პოლონეთში ჩამოვარდა, რუსეთიდან ყოფილიყო გასროლილი. „პოლონურ ფერმაზე, სავარაუდოდ, უკრაინის „სარაკეტო დარტყმის“ ინციდენტი მხოლოდ ერთ რამეს ამტკიცებს: რუსეთის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის გაჩაღებით, დასავლეთი მსოფლიო ომს უახლოვდება“, - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა. შეგახსენებთ: უცხოური მედიის ცნობით, უკრაინის საზღვართან მდებარე პოლონურ სოფელ ფშევოდუვში ორი რუსული რაკეტა ჩამოვარდა, რასაც ორი ადამიანი ემსხვერპლა.

* * *

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენა. „იმისთვის, რომ ამერიკა კვლავ დიდებული გავხადო, ვაყენებ ჩემს კანდიდატურას შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე“, - განაცხადა მან ფლორიდაში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. ტრამპის თქმით, მისი საარჩევნო კამპანია გააერთიანებს ადამიანებს. „ეს არ იქნება ჩემი კამპანია, ეს იქნება ჩვენი კამპანია“, - აღნიშნა ექსპრეზიდენტმა

* * *

რუსეთი მომავალში თავის პოლიტიკას ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ააგებს, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა. „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ისტორიული ფაქტები გახდეს მილიონობით ადამიანის საკუთრება, რათა სწორედ მათზე დავაფუძნოთ ჩვენი დღევანდელი ქცევა და ავაშენოთ ჩვენი მომავლის პოლიტიკა“, - აღნიშნა პუტინმა. მისივე თქმით, არ უნდა მოხდეს იმის დავიწყება, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენელმა მოიპოვა. „ისტორიული ფაქტია, რომ დიდ სამამულო ომში დანაკარგების თითქმის 70% რუსეთის ფედერაციაზე მოდის. ეს ისტორიული ფაქტია“, - აღნიშნა პუტინმა.

* * *

გაეროს მონაცემებით, 15 ნოემბერს დედამიწის მოსახლეობა 8 მილიარდ ადამიანამდე გაიზარდა. პლანეტის მოსახლეობამ მილიარდ ადამიანს მე-19 საუკუნის დასაწყისში მიაღწია. დაახლოებით 120 წლის შემდეგ რაოდენობა გაორმაგდა, ხოლო ძირითადი ზრდა მე-20 საუკუნეში დაფიქსირდა - პლანეტის მოსახლეობა 1,65-დან 6 მილიარდამდე გაიზარდა, რაც სიკვდილიანობის შემცირებამ და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ განაპირობა, 7 მილიარდს კი მხოლოდ 12 წელიწადში (1999-2011) მიაღწია. გაეროს პროგნოზით, 2030 წელს ეს მაჩვენებელი 8,5 მილიარდამდე გაიზრდება, ხოლო 2050 წელს 9,7 მილიარდს მიაღწევს. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ 2080 წელს დედამიწაზე 10,4 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს, რაც 2100 წლამდე შენარჩუნდება.

მოამზადა
ია ფფელიძემ

ევროპული მიდგომა – სოფლად უკეთესი ცხოვრებისთვის

დარინა ბაბაიძე 27 48 93

ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ კონფერენცია „LEADER: ევროპული მიდგომა სოფლად უკეთესი ცხოვრებისთვის“ გახსნეს

კონფერენციაზე ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროგრამის „ENPAR-საქართველოს“ შედეგები შეაჯამეს, რომელიც სოფლის განვითარებაში ევროპული მოდელების დანერგვას, სოფლად სიღარიბის შემცირებასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მდგრადი მომავლის მშენებლობას ემსახურება.

კონფერენციის მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიღწეულ წარმატებებზე, ასევე, გამოწვევებსა და სამომავლო ნაბიჯებზე იმსჯელეს.

„ევროკავშირი უკვე მრავალი წელია, გვეხმარება და ჩვენი აქტიური მხარდამჭერია როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე, სოფლის განვითარების და გარემოს დაცვის მიმართულებებით. პროექტის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაფინანსდა, რომელშიც ჩართული არიან საერთაშორისო ორგანიზაციები. 1900-ზე მეტი ფერმერია სხვადასხვა მიმართულებით მხარდაჭერილი, შემუშავდა არაერთი სტრატეგია, რამდენიმე კანონმდებლობა, მიმდინარეობს სამინისტროს ინსტიტუციური რეფორმა, ასევე, სოფლის განვითარების სააგენტოს გადამდელ სააგენტოდ რეფორმის პროცესი და ა.შ. დარწმუნებული ვარ, მეოთხე ფაზაც ასეთივე წარმატებული იქნება. ეს მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სოფლის მდგრადი განვითარების მიმართულებით, რაც „ქვეყნის ეროვნულ პრიორიტეტს და ევროკავშირთან ინტეგრაციის ამოცანებს შეესაბამება, - აღნიშნა მინისტრმა.

- სოფლის განვითარება ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელოვანი სფეროა. მდგრადი, მწვანე და თანასწორი სოფლის განვითარება ხელს უწყობს სიღარიბის აღმოფხვრას და დასაქმების შესაძლებლობების შექმნას ადამიანებისა და გარემოს საკეთილდღეოდ. სოფლის განვითარების მოდერნიზების, შესაბამისი პოლიტიკის შექმნისა და პრაქტიკული მიდგომების დანერგვის მხრივ, საქართველომ გასული 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ევროკავშირი მიესალმება ამ წარმატებას და აგრძელებს საქართველოს ხელშეწყობას სოფლად უკეთესი შესაძლებლობების შესაქმნელად, - განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ.

კონფერენციის პარალელურად, ფერმერული ნაწარმისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა გაიმართა.

ENPARD-ის მეოთხე ფაზა 2021-2025 წლებში, ევროკავშირის 55 მილიონი ევროს დაფინანსებით განხორციელდება. ძირითადი ყურადღება სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვას დაეთმობა, ასევე, ფერმერთა და მეწარმეთა ხელშეწყობას ევროპულ ბაზარზე წვდომის მიზნით.

ღონისძიება ევროკავშირის ხელშეწყობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), Action Against Hunger-ის, CARE საქართველოს, CENN-ის და People in Need-ის ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციაში ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს, საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოფლად მომუშავე კომპანიების, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAGs) წარმომადგენლები და საერთაშორისო პარტნიორები მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა „ENPARD - საქართველო“ უკვე ათი წელია მიმდინარეობს. ENPAR-ის ფარგლებში, საქართველომ მოახდინა სოფლის განვითარების ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული სისტემების ჰარმონიზება ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკასთან, გაიზიარა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა.

ფერმერთა ასოციაციის სამუშაო ჯგუფი საველე მისიის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი სამუშაო ჯგუფი, საველე მისიის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა

ფერმერთა ასოციაციის ცნობით, რეგიონალური ვიზიტის მიზანი გარემოსდაცვითი საკითხების გარშემო ჯგუფის სტრატეგიითა და გეგმა-გრაფიკით (2021-2024) გათვალისწინებული აქტივობების შესრულება, ასევე, ფერმერთა ასოციაციის სხვადასხვა დეპარტამენტს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება იყო.

საველე მისიის ფარგლებში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებმა შეხვედრები სენაკში, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული კოლეჯის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან გამართეს.

ასევე, მონაწილეობა მიიღეს შპს „ჯეო ორგანიკსის“ ლურჯი მოცვის ბაღში გამართული კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების სასწავლო ტურში და ქარსაფარი ზოლის გაშენების აქციაში, სადაც 1200-ზე მეტი ალვისა და კვიდოს ნერგი დარგეს.

საველე მისიის ფარგლებში, ჯგუფის წევრებმა, სოფელ ქვიტირის ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სოფლის მიმდებარე საძოვრების დასუფთავების აქციაშიც მიიღეს მონაწილეობა.

კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი ჯგუფი 2021 წელს შეიქმნა და პროექტის „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში მხარდაჭერილია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ. ჯგუფი ამჟამად ასოციაციის 15 თანამშრომელს აერთიანებს და შეხვედრებს რეგულარულად ატარებს, რათა ორგანიზაციის პროექტებსა და პროგრამებში კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა სისტემურად იყოს ინტეგრირებული.

„ჯგუფი რეგულარულად მართავს როგორც შიდა შეხვედრებს, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ჯგუფის მიდგომა მდგომარეობს პრობლემების ანალიზში და შემდეგ მათი გადაჭრის გზების ძიებაში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს სოციალური და ეკონომიკური ასპექტებიც. 9-11 ნოემბრის საველე მისია, რომელიც დასავლეთ საქართველოში განხორციელდა, სწორედ ჯგუფის მიერ გამოვლენილი აქტუალური საკითხების საპასუხოდ დაიგეგმა. მისია მოიცავდა ლექციებს სენაკის პროფესიულ კოლეჯში, ქარსაფარი ზოლის გაშენებას ლურჯი მოცვის პლანტაციაში, საძოვრის ნარჩენებისგან დასუფთავების აქციას და სასწავლო ტურებს ლურჯი მოცვის ბაღსა და მწვანილის სათბურებში.

პრაქტიკული საველე გასვლები, ერთი მხრივ, ზრდის ჯგუფისა და მისი წევრების შესაძლებლობებს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ასოციაციის თანამშრომლობას მის პარტნიორებთან. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია მომავალშიც აპირებს სოფლის მეურნეობის სფეროში აქტუალური გარემოსდაცვითი საკითხების გარშემო მუშაობას, როგორიცაა ნარჩენების მართვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება, აგრობიომრავალფეროვნების ხელშეწყობა და ზოგადად, მდგრადი სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა საქართველოში“, - აღნიშნა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი ჯგუფის ხელმძღვანელმა ილია კუნჭულიამ.

არჩევნები

მესამე სექტორის შეფასებით...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

„სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად დაგეგმილი საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებით სრულად არ ხდება ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის ყველა არსებითი ხასიათის რეკომენდაციის გათვალისწინება

აღნიშნულთან დაკავშირებით ორი ორგანიზაცია ერთობლივ განცხადებას ავრცელებს.

„2022 წლის მარტში საქართველომ ევროკავშირის წევრობისთვის ოფიციალური განაცხადი წარადგინა, ივნისში კი ევროპულმა საბჭომ საქართველოს მთავრობას წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი რეკომენდაციების გათვალისწინება მოსთხოვა. ერთი-ერთი რეკომენდაცია საარჩევნო საკითხებს ეხებოდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უნდა მოეგვარებინა ყველა ის პრობლემა, რაც ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის მიერ იყო იდენტიფიცირებული.

ამ რეკომენდაციის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობაც საპარლამენტო ძალების ნაწილმა არ მიიღო, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საპარლამენტო უმრავლესობამ ხელოვნურად შეზღუდა.

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო სამუშაო ჯგუფის ავტორობითა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი, რომლითაც ცვლილებები შედის საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონებში.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, კანონპროექტი ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის მიერ იდენტიფიცირებულ რიგ პრობლემებს პასუხობს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. კერძოდ, უკეთესად რეგულირდება საარჩევნო კომისიის წევრების სერტიფიცირების საკითხი, იზრდება საჩივრების/სარჩელების წარდგენისა და განხილვის ზოგიერთი ვადა, გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესში სავალდებულო ხდება ამომრჩევლის მარკირება, მცირდება პარტიების წლიურ ხარჯებზე დაწესებული ზედა ზღვარი.

თუმცა, წარმოდგენილი ცვლილებებით სრულად არ ხდება ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის ყველა არსებითი ხასიათის რეკომენდაციის გათვალისწინება. მაგალითად, უცვლელად რჩება ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის მანკიერი წესი, ასევე, პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც მოქმედი კანონით მათ საპარლამენტო საქმიანობასთან გაუმართლებლად არის დაკავშირებული.

გარდა ამისა, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების მასშტაბურ დანერგვას, რამაც პოტენციურად დადებითი როლი შეიძლება შეასრულოს არჩევნების მიმართ ნდობის ზრდის თვალსაზრისით. თუმცა, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის რეკომენდაცია არ ყოფილა. ამ კუთხით, განსაკუთრებულად პრობლემურია ის, რომ კანონპროექტი ზედმეტად ზოგადად აწესრიგებს ელექტრონული ტექნოლოგიების საარჩევნო პროცესში გამოყენების წესს, ხოლო სხვა არსებითი საკითხების გადაწყვეტას კანონმდებელი მთლიანად ცესკოს ანდობს“, - ნათქვამია „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადებაში.

„პირველი ავტოგრაფი“ – მეორედ

მიუხედავად იმისა, რომ საყმაწვილო სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ წელს მხოლოდ მეორედ ტარდება, მაყურებელმა, ბათუმმა უკვე მოასწრო მისი შეყვარება

თეატრალური ხელოვნების მოყვარულთათვის ამ სფეროში სიახლეები ისედაც მისასალმებელია, მაგრამ როცა საქმე მოზარდების თეატრთან ზიარებას, მათთვის ამ ხელოვნების არა მარტო გაცნობას, არამედ მის შეყვარებას და სპექტაკლებში მონაწილეობას ეხება, ინტერესი ბუნებრივიცაა და აუცილებელიც. ვფიქრობ, ამ ახალმა თეატრალურმა ფორუმმა უკვე დაიწყო დიდი საქმის კეთება, რადგან სასკოლო დასების ჩამოყალიბების მიზეზი გახდა, რომლებიც მანამდე, ფაქტობრივად, არ არსებობდა აჭარაში. საგულისხმოა ისიც, რომ შარშანდელთან შედარებით, როგორც ამას ქვემოთაც წაიკითხავთ, საბავშვო დასების რიცხვი ორჯერაა გაზრდილი! ფესტივალში სულ 400 მოსწავლეა ჩართული.

ფესტივალში, რომლის სპექტაკლები ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას გაიმართება, მონაწილეობენ აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო და საჯარო სკოლების თეატრალური დასები. საბავშვო თეატრალური ფორუმი 7 დღის განმავლობაში მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას. 18 ნოემბერს ჯერ ფესტივალის პრესკონფერენცია გაიმართება, ხოლო 20 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის დიდ სცენაზე ბათუმის №14 საჯარო სკოლის სპექტაკლით „მიჩი“.

*დღეს გთავაზობთ „პირველი ავტოგრაფის“ დამფუძნებელსა და ორგანიზატორთან, შემოქმედებით ორგანიზაცია ა(ა)იპ „არტ პორტალის“ ხელმძღვანელთან, ფესტივალის დირექტორ მიხეილ გაბაიძესთან წინასაფესტივალო საუბარს. ამასთან, ჩვენი გაზეთი, ისევე როგორც შარშან, დეტალურად გააშუქებს საფესტივალო დღეებს, შეაფასებს სპექტაკლებს, ხოლო დასასრულ დასკვნით ინტერვიუს ამ ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელ, რეჟისორ **პეტრე ჩარგეიშვილთან** შემოგთავაზებთ.*

- გილოცავთ „პირველი ავტოგრაფის“ მეორე სეზონის დაწყებას. სანამ კონკრეტულად ახალ სეზონზე ვილაპარაკებთ, რა გასწავლათ წინა სეზონმა ფესტივალის უკეთ ორგანიზების კუთხით?

- უპირველესად, გაზეთ „აჭარას“ მადლობა მინდა გადაგიხადოთ პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის. თქვენი მხარდაჭერა და ბეჭდური მედიის მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება უაღრესად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ფესტივალის ორგანიზებას, რომელიც შარშან პირველად ჩატარდა, ვერ ვიტყვი, რომ რაიმე აკლდა ორგანიზების თვალსაზრისით, როგორც პიარის ნაწილში, ასევე სპექტაკლების კუთხით, თუმცა არ იყო იდეალური. ეს ალბათ მაყურებლის, ჩვენი ქალაქის მკვიდრთა შესაფასებელია. ფაქტია, ფესტივალის წინამოსამზადებელმა პერიოდმა შექმნა დიდი მოლოდინი, რაც გამოიხატა სასკოლო თეატრალური დასების მომრავლებაში და იმაშიც, რომ გასული საფესტივალო წლისაგან განსხვავებით, წელს გაცილებით ბევრი პროფესიონალი ჩაერთო ბავშვებთან მუშაობის პროცესში. კითხვას, რა გვასწავლა გასულმა ფესტივალმა, მოკლედ შეიძლება ასე ვუპასუხოთ: ის, რომ #არუნდაგავჩერდეთ.

- როდიდან და როგორ დაიწყეთ მეორე სეზონისთვის მზადება?

- რიგით მეორე ფესტივალისთვის მზადება გაზაფხულზე დავიწყეთ, როდესაც რესურსცენტრების დახმარებით და პირადი კონტაქტებით, ყველა სკოლა ჩავაყენეთ საქმის კურსში, ვთხოვეთ მათ, სურვილის შემთხვევაში, მოეწოდებინათ ფესტივალში მონაწილეობის თანხმობის წერილები. პარალელურად, პიარსტრატეგია გავწერეთ და, ფაქტობრივად, დღემდე ამ გეგმით ვმუშაობთ. მეორე ეტაპი იყო უკვე დასების, შემოქმედებითი ჯგუფების შესახებ ინფორმაციის მიღება, ხოლო მზადების ბოლო ეტაპზე ნამუშევრები ადგილზე ვნახეთ.

- სკოლებში იგრძნობა თუ არა შარშან მიღებული გამოცდილების პლუსები? რა შეცდომას აღარ გაიმეორებდით წელს ამ კუთხით?

- შარშანდელ ფესტივალზე, გემახსოვრებათ ალბათ, პანდემიური მდგომარეობის გამო ბევრი რამ სხვაგვარად იყო. წელს სკოლები გაცილებით მოტივირებულები და გაასმაგებული პასუხისმგებლობით მიუდგნენ საფესტივალო სპექტაკლზე მუშაობას. რა შეცდომას არ გავიმეორებდი? - ამ კითხვის პასუხად გეტყვით, რომ შეცდომები, რა თქმა უნდა, გვქონდა, უამისოდ ნებისმიერი წამოწყება, მით უმეტეს - პირველ ჯერზე შეუძლებელია, ახლა მათ ვერ ვიხსენებ, თუმცა ის კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მათ არათუ არ გავიმეორებდი, გავაასმაგებდი გასული საფესტივალო წლის აქტივობებს, რასაც წლევანდელი საფესტივალო სამზადისისას შეამჩნევდით როგორც სოციალურ ქსელში, ასევე მთელი ქალაქის მასშტაბით. გვქონდა როგორც ქუჩის აქტივობები, ასევე მუნიციპალურ ტრანსპორტში და სხვა.

- გამოკვეთილია თუ არა წელს საფესტივალო სპექტაკლების თემატიკა და რა ჩარჩოები ყალიბდება, რომლითაც უნდა შემოიფარგლოს ისინი?

- წელს მეტი ჟანრობრივი მრავალფეროვნება გვაქვს. მაგალითად, რამდენიმე სასკოლო დასი წარმოადგენს მიუზიკლს, ასევე დაიდგა პანტომიმაც, ერთ-ერთი სკოლა კი წარმოადგენს სპეციალურად ფესტივალისთვის დაწერილ პიესას.

- რამდენად გაიზარდა ფესტივალში მონაწილე სკოლების რიცხვი?

- თუ შარშან 14 სასკოლო თეატრალური დასი შეიქმნა, წელს აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან 25 განაცხადი მივიღეთ. ის კი არა, ერთ-ერთ სკოლაში ორი დასიც კი ჩამოყალიბდა, რაც, ვფიქრობ, მეორე საფესტივალო წლისთვის ძალიან დიდი შედეგია. ჩემი მოლოდინით, გაისად ეს რიცხვი გაორმაგდება და ფესტივალის მიზანიც სწორედ ეს არის.

- რა სიახლეები ელოდებათ „პირველი ავტოგრაფის“ გულშემატკივრებს, რომელთა შორის გაზეთი „აჭარაცაა“ (რეპერტუარი, თემატიკა, ნომინაციები, სტუმრები, ჟიური და სხვა)?

- სიახლეების თვალსაზრისით, ვიტყვი იმას, რომ ჟიურიში შედის თავისი სფეროს თვალსაჩონო სამი წამომადგენელი, თუმცა მათ სახელებს ფესტივალის დაწყებამდე ვერ გავამხელ. გახსოვთ ალბათ, ასე მოვიქეცით შარშანაც. ნომინაციათა რაოდენობა გასულ საფესტივალო წელთან შედარებით გასამმაგებულია. სპექტაკლების გამართვის ლოკაციებიც უფრო მრავალფეროვანია. მათ შორის სხვადასხვა თეატრალურ სივრცესთან ერთად ისევ იქნება მუზეუმის ინტერიერი, ერთ-ერთი სპექტაკლის ჩვენება კი ბათუმის საზღვაო აკადემიის „სამანქანე ლაბორატორიაში“ გაიმართება. ვინც სოციალურ ქსელში ჩვენი ფესტივალის გვერდს აქტიურად

> ***„თუ შარშან შეიქმნა 14 სასკოლო თეატრალური დასი, წელს მივიღეთ 25 განაცხადი აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან. ის კი არა, ერთ-ერთ სკოლაში ორი დასიც კი ჩამოყალიბდა, რაც, ვფიქრობ, მეორე საფესტივალო წლისთვის ძალიან დიდი შედეგია. ჩემი მოლოდინით, მომდევნო წელს ეს რიცხვი გაორმაგდება და ფესტივალის მიზანიც სწორედ ეს არის“***

მატკივრებს, რომელთა შორის გაზეთი „აჭარაცაა“ (რეპერტუარი, თემატიკა, ნომინაციები, სტუმრები, ჟიური და სხვა)?

- სიახლეების თვალსაზრისით, ვიტყვი იმას, რომ ჟიურიში შედის თავისი სფეროს თვალსაჩონო სამი წამომადგენელი, თუმცა მათ სახელებს ფესტივალის დაწყებამდე ვერ გავამხელ. გახსოვთ ალბათ, ასე მოვიქეცით შარშანაც. ნომინაციათა რაოდენობა გასულ საფესტივალო წელთან შედარებით გასამმაგებულია. სპექტაკლების გამართვის ლოკაციებიც უფრო მრავალფეროვანია. მათ შორის სხვადასხვა თეატრალურ სივრცესთან ერთად ისევ იქნება მუზეუმის ინტერიერი, ერთ-ერთი სპექტაკლის ჩვენება კი ბათუმის საზღვაო აკადემიის „სამანქანე ლაბორატორიაში“ გაიმართება. ვინც სოციალურ ქსელში ჩვენი ფესტივალის გვერდს აქტიურად ადევნებდა თვალს (ასეთი, მართლაც, ბევრი იყო) ეცნობოდა „მეგობართა გუნდის“ მოსაზრებებს, რამაც დიდი მოლოდინი და ინტერესი გააჩინა ფესტივალის მიმართ. შარშან ნომინაციაში „დიდი ბავშვი“ დავაჯილდოეთ მწერალი და მსახიობი გურამ პეტრიაშვილი, წელს კი საბავშვო მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდოს გადავცემთ კომპოზიტორ დავით მალაზონიას.



- რას დაამატებდით?

- დავამატებდი მადლობას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, უშუალოდ მინისტრ მაია ხაჯიშვილის მისამართით, ასევე კომისიის წევრებისა და ყველა თანამშრომლის მიმართ. მათი მონდომება და მხარდაჭერა რომ არა, ეს ფესტივალი არ შედგებოდა. წელს ფინანსურად გვერდით დაგვიდგა ქალაქ ბათუმის მერიაც და მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თითოეულ თანამშრომელს. ფაქტობრივად, ვინც ყური მოკრა ჩვენს ფესტივალს, ყველა ცდილობს, გვერდით დაგვიდგეს, რითაც შეუძლია. თეატრებს დიდი მადლობა, განსაკუთრებით ჩვენს მშობლიურ ბათუმის დრამატულ თეატრს, რომელმაც პარტნიორობის ფარგლებში უსასყიდლოდ დაგვითმო სივრცეები. ასევე, დიდად ვემადლიერებით ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს, ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობისა და ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმებს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს და ყველა ჩვენს მხარდამჭერსა და პარტნიორს, ვერ ჩამოვთვლი, ვინმე რომ არ გამომრჩეს. გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო ფესტივალის თითოეულ გულშემატკივარს. გელოდებით 20-დან 27 ნოემბრის ჩათვლით საფესტივალო სპექტაკლებზე, რომლის განრიგისა და ყველა სიახლის შესახებ ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ facebook-ის გვერდზე „პირველი ავტოგრაფი“.

მარინა მითაიშვილი

ვინ არის იციკ მოშე, რომლის მკვლელობაც სუს-მა აღკვეთა?

ის გახლავთ ისრაელის მოქალაქე, ისრაელ-საქართველოს ბიზნესპალატის პრეზიდენტი, ICC Georgia-ს მაღალი რანგის წევრი. ამის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბჭოს თავმჯდომარე ფადი ასლი ავრცელებს.

მისი თქმით, საერთაშორისო სავაჭრო პალატა მკაცრად გმობს ისრაელ-საქართველოს ბიზნესპალატის პრეზიდენტის, ICC Georgia-ს მაღალი რანგის წევრ იციკ მოშეს მკვლელობის მცდელობას.

„იციკ მოშე წლებია, იბრძვის საქართველოში ბიზნესისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და ქართველი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის. ის არის ბიზნესსაზოგადოების უაღრესად პატივსაცემი წევრი და დიდი ქველმოქმედი, ეს მკვლელობის მცდელობა არის ყველა პასუხისმგებლიანი ბიზნესისა და ქვეყნის სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული“, - განაცხადა ფადი ასლიმ.

მისივე განცხადებით, საერთაშორისო სავაჭრო პალატა გმობს ყველანაირ ტერორისტულ აქტს და მადლობას უხდის საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მკვლელობის მცდელობის დროული აღკვეთისთვის.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ სუს-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საქართველოში დაგეგმილი ისრაელის მოქალაქის მკვლელობის მცდელობა. მათივე ინფორმაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებული არიან პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები.

იციკ მოშე 1959 წელს დაიბადა და 1971 წელს საქართველოდან ისრაელში წავიდა. 1996 წლიდან არის საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი. 2013 წელს დააარსა „ისრაელის სახლი“, რომელიც მიზნად მეგობარ ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებას ისახავს.

ამირან გურიელიძე

ომის ვეტერანების პატივსაცემად

საქართველოს ისტორიაში 2008 წლის აგვისტოს ომი შავი ასოებით ჩაიწერა. ქვეყანა პატივს მიაგებს რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში დაღუპულ გმირებს, არც მათ თავდადებას ივიწყებს, ვინც იმ მძიმე დღეებში მომხდურებს დაუპირისპირდა. ცალკეული ორგანიზაციები, სპორტული ფედერაციები მათი გმირობის უკვდავსაყოფად ტურნირებს, შეჯიბრებებს მართავენ. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო აჭარის მკლავჭიდის ფედერაციის მიერ ხულოში ჩატარებული ტურნირი, რომელშიც ბათუმის, შუახევის, ხულოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელი გოგონები და ბიჭები მონაწილეობდნენ. ასპარეზობას ესწრებოდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ბეღლეთელი ნადიმ ართმელაძის დედა თამარ ართმელაძე.

ხულოს საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში 100-ზე მეტი მკლავჭიდელი შეიკრიბა, მათგან 60-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მოასპარეზე 70-მდე ვაჟია.

ტურნირის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა შავაძე, საქართველოს ომის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, თადარიგის გენერალი კობა კობალაძე, ომის ვეტერანების საქმეთა აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსი შუქრი ყიფიანი, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ აბაშიძე, ტურნირის მთავარი მსაჯი ლაშა თავართქილაძე, ხულოს მერიის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი რამინ მეხეშიძე.

ასპარეზობაში თავდაპირველად გოგონები ჩაერთნენ.

- 22 წლის წინათ ანალოგიურ შეჯიბრებაში მეც ვმონაწილეობდი, - გვითხრა ქალაქ ბათუმის მე-17 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა, აჭარის სამგზის ჩემპიონმა მელანია დოლიძემ, - უკვე ორი ვაჟისა და ერთი ქალიშვილის დედა ვარ. ომის ვეტერანებისადმი მიძღვნილ ტურნირზე 6 სპორტსმენი გამოვიყვანეთ. მათ შორისაა ჩემი შვილი 15 წლის მარიამ ჭიჭვეიშვილი. იგი 60-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ასპარეზობს.

ხულოში გამართული ტურნირი მარიამ ჭიჭვეიშვილისთვის წარმატებული აღმოჩნდა. მან ყველა მეტოქეს აჯობა როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მკლავის გადაწევაში და ჩემპიონი გახდა. ამ წონით კატეგორიაში მეორე და მესამე ადგილებზე რიყეთის საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო ანთაძე გავიდა, მესამე ძმაგულელი მარი მახარაძე იყო.

გულშემატკივრებმა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა საინტერესო ორთაბრძოლები იხილეს 60 კილოგრამს ზემოთ მოპაექრე გოგონებს შორის. მარცხენა მკლავის გადაწევაში პირველი რიყეთელი დაიანა კოჩალიძე იყო, მეორე - ბათუმელი ნინო მოქია, მესამე - ფუშრუკაულელი თამთა სურმანიძე. დაიანამ მარჯვენა მკლავის გადაწევაშიც ტოლი არავის დაუდო. მეორეზე ღურტელი ლიკა იაკობაძე გავიდა, მესამეზე - ნინო მოქია.

ტურნირზე კარგად მომზადებული მკლავჭიდელები გამოიყვანეს რაქვთის, აგარის, საციხურის, ფუშრუკაულის, საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის, რიყეთის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მახოს სკოლებიდან. ვაჟებს შორის 60-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელის გადაწევაში საპრიზო ადგილები ანდრეს შაინიძემ (რაქვთა), ირაკლი შაინიძემ და გოგიტა ცეცხლაძემ (საციხური) გაიყვეს. ანდრეს შაინიძეს მარცხენა ხელის გადაწევაში ბადალი არ ჰყავდა.

70-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელის გადაწევაში პირველი აგარელი გელა შავაძე იყო, მარცხენაში - კვატიელი მიშა ხოზრევანიძე. იგი ფინალში თანასკოლელ გიორგი ხოზრევანიძეს დაუპირისპირდა.

70 კილოგრამს ზევით წონით კატეგორია ორივე მკლავში პირველი ადგილი კვატიელ ანრი ბერიძეს ერგო.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მედლებით, სიგელებითა და თასებით დააჯილდოეს.

- ომის ვეტერანებისადმი მიძღვნილი ტურნირი ხულოში პირველად იმართება. საკმაოდ ძლიერი და მომზადებული სპორტსმენების ორთაბრძოლები ვიხილეთ. კარგია, როცა ფედერაცია, სკოლების ხელმძღვანელები ომის ვეტერანებს ასეთ პატივს მიაგებენ, - გვითხრა კობა კობალაძემ.

სახალხო დღესასწაული - «შემოდგომა ქედაში»

პირველი გვერდიდან

21-ე საუკუნეში ქედელი ფერმერებისთვის გიდელი, გოდორი, კალათი ისევ რჩება საჭირო საოჯახო ნივთებად. მახუნცეთელი ვაჟა ნიგალიძე მათი დაწნის საუკეთესო ოსტატია. მისი ხელით დამზადებული ნივთები იყო გამოტანილი ზეიმზე. ვაჟას არც უჩხითელი რესან ჟორჟაძე ჩამორჩება. ის ხისგან სამზარეულოს ნივთებს ამზადებს. რამდენიმე სტუმრისგან შეკვეთაც მიიღო.

ბოლო წლებში გამართული დღესასწაულების სცენარისტი და სულისჩამდგმელი ქედის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტი ლია მახარაძეა. იგი ერთხელ კიდევ რჩევებს აძლევს წამყვანებს ლელა შარაძესა და ხატია დიასამიძეს, რომლებმაც ზეიმი გახსნილად გამოაცხადეს და სცენაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერ როლანდ ბერიძეს უხმეს. მან მოპატიჟებულ სტუმრებს, თანარაიონელებს დღესასწაული მიულოცა და სიტყვა გადასცა მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეს. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ რეგიონის პირველმა პირმა «საპატიო ქედელის» დიპლომები გადასცა უცხოეთში მოღვაწე ცნობილ პედიატრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ ფარტენაძეს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ვეტერანს ვალერიან ალიქაძეს, რომელიც წლების განმავლობაში ქედასა და შუახევში ამ სამსახურის უფროსი იყო.

მოზეიმეებს მიესალმნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე, ქედელთა მაჟორიტარები საქართველოს პარლამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე.

ანზორ ბოლქვაძემ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ორი მოწვევის დეპუტატ იაშა შერვაშიძეს «საპატიო ქედელის» დიპლომი გადასცა. მან და ტიტე არაშიძემ «დამსახურებული მოღვაწის», «ქედის კოლორიტის» დიპლომები გადასცეს ვეტერან პედაგოგებს რევაზ აბულაძეს, ეთერ გოგიტიძეს, წყალკანალის მუშა რევაზ დიასამიძეს, კულტურის სისტემის ამაგდარ ნოდარ კახიძეს, აჭარის საავტომობილი გზების დეპარტამენტის ქედის განყოფილების უფროს გოჩა ბერიძეს. «ქედის კოლორიტად» გარდაცვალების შემდეგ, იაშა თედორაძე აღიარეს, დიპლომი მის ქალიშვილს გადასცეს, რომელმაც დამსწრეთ მადლობა გადაუხადა მამის ღვაწლის დაფასებისთვის.

ზეიმზე წარმოდგენილი მეღვინეებიც არ დატოვეს ყურადღების გარეშე. ანზორ ბოლქვაძემ და ფრიდონ ფუტკარაძემ მათ საპატიო დიპლომები გადასცეს.

აჭარის მთიანეთში ძირძველი მრწამსისადმი ერთგულება ისე არსად იკვეთება, როგორც ქედაში. დაბა ქედაში, ზვარეში, ზესოფელში არსებულ ტაძრებს მალე დაბა ქედაში მშენებარე ტაძარიც შეემატება. მის საძირკველში დუღაბი წელს ჩაასხეს. პროცესი სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა აკურთხა. მან ქედელებსა და მათ სტუმრებს ზეიმი მიულოცა და ღვთისა და ერის წინაშე კეთილსინდისიერი სამსახური უსურვა.

ბავშვთა გასართობი ღონისძიებები, ფოტოგამოფენები, სპორტული ასპარეზობები, რეწვის მასტერკლასები, სხვა აქტივობები ზეიმს საინტერესოს და მიმზიდველს ხდიდა. როგორც ცნობილია, ჯარაში თაფლის წარმოების ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მერისის ხეობის, საღორეთის, ცხმორისის, ვაიოს ტყეებში ახლაც ნახავთ ხეებში შემოდებულ ჯარა სკებს. მას მეტწილად ცაცხვის, სოჭისა და ფიჭვის ხეებისგან ამზადებენ. ზეიმზე ჯარაში თაფლის დამზადების პროცესიც იყო წარმოდგენილი.

ცეკვისა და სიმღერის ოსტატები ქედას არასდროს მოჰკლებია. ქედის კულტურის ცენტრთან, სახელოვნებო სკოლასთან, მერისის კულტურის სახლთან, სკოლებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები წარმატებით გამოდიოდნენ ქედასა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალებზე. მოზეიმეებისთვის «ძრავალჟამიერი» შეასრულეს ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ «ელესას» წევრებმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა «ბეთლემმა» - ცეკვა «აფხაზური». მაყურებლების წინაშე ასევე წარსდგნენ მერისის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული, გოგონათა ფოლკლორული, გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლები «მოყვარე», «იაგუნდი», «იასამანი», ფოლკბენდი «ელესა», ბათუმური ტრიო «გოგლაურა», ჯგუფი «სისაიდი».

კომენტარი საპატიო ქედელებს ვთხოვეთ:

ვალერიან ალიქაძე: - ბედნიერ და ამაღლებულ განწყობაზე ვარ. ჯერ ზეიმზე მოპატიჟება იყო დიდი პატივი, შემდეგ - «საპატიო ქედელის» დიპლომის გადმოცემა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ გავლილ წლებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მადლობა ზეიმის ორგანიზატორებს, ჩემი ღვაწლის დამფასებლებს.

არჩილ ფარტენაძე: - 30 წლის წინ, მოსკოვში ასპირანტურაში ჩარიცხვის შემდეგ, ქედელებს გამოვემშვიდობე. მხოლოდ 8 წელი გავატარე მათ სამსახურში. ახლა მშობლიურ კუთხეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის და პროფესორის ხარისხით დავუბრუნდი. ორი შვილის მამა ვარ. მალე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კურსს წავიყვან. მრავალ ჯილდოსა და წოდებას შორის, «საპატიო ქედელის» დიპლომი ჩემთვის გამორჩეულია. ამ ჯილდოს გამართლება უნდა.

იაშა შერვაშიძე: - დღემდე მახსოვს კოლეგების აქტიურობა, როცა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჩემი და ანზორ ბოლქვაძის მიერ ინიცირებულ «მთის კანონზე» მსჯელობდნენ. აჭარის მთიანეთის, მაჭახლის ხეობის მკვიდრნი ამ კანონით ბოძებული შეღავათებით რომ სარგებლობენ, მეც კმაყოფილი ვარ. ანზორსა და ჩემ შორის იმ წლებში დაწყებული მეგობრობა ახლაც გრძელდება, რაც დღესაც დადასტურდა - «საპატიო ქედელის» დიპლომი მისგან მივიღე. ასეა, თუ გაირჯები, ამაგი დაგიფასდება.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძეს** ზეიმის შეფასება ვთხოვეთ: «მოზეიმე ქედელებს, მათ სტუმრებს ბუნებამაც ხელი შეუწყო. იმ დროს ვემშვიდობებით მოზეიმეებს, როცა მზე არემარეს ტოვებს. ქედელმა კაცმა ზეიმზე ნაშრომ-ნაამაგარი გამოამზეურა, ცეკვა-სიმღერა, სტუმრის გახალისება არ დაიზარა. მსურს მათ მივულოცო აქ დავანებული სახალხო დღესასწაული. თითოეულ ქედელს, მათ შრომისმოყვარე ოჯახებს ვუსურვებ მშვიდობას, გამრავლებას, განვითარებას, წარმატებულ რთველს, ბედნიერ მომავალს», - თქვა თორნიკე რიჟვაძემ.

ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში საზეიმო ღონისძიებები შებინდებამდე გაგრძელდა. წლევანდელი «შემოდგომა ქედაში», რომელსაც სათავე 9 ათეული წლის წინ დაედო, ისტორიის კუთვნილება გახდა. მრავალი გადაკეთება-გადახალისების მიუხედავად, არსი და დანიშნულება არ შეუცვლია. იგი იყო, არის და დარჩება თითოეული ქედელის უპირველეს ზეიმად.

დაბა ქედა, 2022 წლის 15 ნოემბერი

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

კანონპროექტი მიღებულია

76 - მომხრე, 6 - წინააღმდეგი - პარლამენტმა მეორე მოსმენით „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი მიიღო, რომლის თანახმად ოლიგარქთა რეესტრს, პარლამენტის ნაცვლად, მთავრობა დაადგენს.

კენჭისყრას წინ დებატები უძღოდა. საპარლამენტო ოპოზიციამ კანონის მეორე მოსმენით მიღებამდე მმართველ გუნდს მისი ვენეციის კომისიაში გადაგზავნა შესთავაზა და ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის რეკომენდაცია გაახსენა.

ამ კონტექსტში ოპოზიციის მხრიდან აღინიშნა ისიც, რომ „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტს არ ახლავს გამომდინარე საკანონმდებლო აქტები და სრული საკანონმდებლო პაკეტის არარსებობის პირობებში მისი მიღება მიზანშეწონილი არ არის.

„ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციის არგუმენტები არ გაიზიარა. როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა, ერთ წელზე მეტია, რაც უკრაინამ მის მიერ მიღებული კანონი ვენეციის კომისიაში გააგზავნა, თუმცა კომისიისგან დასკვნა ამ დრომდე არ მიუღიათ. ოხანაშვილის თქმით, ისინი დაინტერესდებიან, თუ რატომ არ არსებობს ამ დრომდე დასკვნა უკრაინულ კანონზე „დეოლიგარქიზაციის შესახებ“.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის გუშინდელი მონაცემებით, 24 თებერვლიდან 16 ნოემბრამდე პერიოდში, რუსეთის არმიის საბრძოლო დანაკარგი არის: ცოცხალი ძალა - დაახლოებით 82 710 ადამიანი (გასულ დღე-ღამეში +630); ტანკი - 2 871 ერთეული (+10); ჯავშანტექნიკა - 5 797 ერთეული (+24); საარტილერიო სისტემა - 1 860 ერთეული (+10); MLRS - 393 ერთეული (+0); საზენიტო საბრძოლო სისტემა - 209 ერთეული (+1]); თვითმფრინავი - 278 ერთეული (+0); ვერტმფრენი - 261 ერთეული (+0); უპილოტო საფრენი აპარატის ოპერატიულ-ტაქტიკური დონე - 1 525 ერთეული (+14); ფრთოსანი რაკეტა (ჩამოაგდეს) - 474 ერთეული (+75); გემი/ნავი - 16 ერთეული (+0); მანქანები და საწვავის ავზები - 4 360 ერთეული (+9); სპეცტექნიკა - 160 ერთეული (+0). უკრაინის გენერალური შტაბის განცხადებით, საომარი მოქმედებების მაღალი ინტენსივობის გამო მონაცემები იცვლება. უკრაინის სამხედრო დანაკარგებზე ინფორმაცია განაახლა რუსეთმაც. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული მონაცემებით, 24 თებერვლიდან 16 ნოემბრამდე პერიოდში სულ განადგურებულია უკრაინის 333 თვითმფრინავი; 177 ვერტმფრენი; 2 514 უპილოტო საფრენი აპარატი; 388 საზენიტო სარაკეტო სისტემა; 6 644 ტანკი და სხვა ჯავშანტექნიკა; 892 მრავალჯერადი სარაკეტო გამშვები; 3 587 საველე არტილერია და ნაღმმტყორცნი; 7 240 სპეციალური სამხედრო მანქანა. რუსეთის სამინისტრო უკრაინის არმიის ცოცხალი ძალის დანაკარგების სტატისტიკას არ აქვეყნებს.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი პოლონეთის ტერიტორიაზე რუსული რაკეტების ჩამოვარდნას ეხმაურება და აცხადებს, რომ სერიოზული ბრძოლა იწყება და გამარჯვების დროა. „პოლონეთი - ეს არ არის თვითშესრულებული წინასწარმეტყველება, ეს არის რეალობა, რომლის შესახებაც გაფრთხილებდით, ვითხოვდით ცის დახურვას, რადგან ცას არ აქვს საზღვრები, არ აქვს უკონტროლო რუსული რაკეტებისთვის, არ აქვს იმ საფრთხისთვის, რასაც ისინი ჩვენი ევროკავშირელი და ნატოელი მეზობლებისთვის წარმოადგენენ. ხელთათმანები მოხსნილია. გამარჯვების დროა“, - დაწერა რეზნიკოვმა „ტვიტერზე“. მისი თქმით, უკრაინა ევროკავშირის ფარია და ერთობლივად უნდა დაიცვან თავი ტეროორისტული სახელმწიფოსგან. შეგახსენებთ: 15 ნოემბერს პოლონეთის ტერიტორიაზე ჩამოვარდნილმა რუსულმა რაკეტებმა ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ინციდენტი, სავარაუდოდ, უკრაინის საჰაერო თავდაცვის რაკეტით იყო გამოწვეული, რომელიც რუსული ფრთოსანი რაკეტების მოსაგერიებლად გაისროლეს, მაგრამ ეს არ არის უკრაინის ბრალი. ინფორმაციას იმთავითვე უარყოფდა რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.

* * *

ნატოს წევრი სახელმწიფოების ელჩები, პოლონეთის მთავრობის მოთხოვნით, ალიანსის ხელშეკრულების მე-4 მუხლის საფუძველზე, შეხვედრას გამართავენ, - ინფორმაციას „როიტერი“ ევროპელ დიპლომატებზე დაყრდნობით ავრცელებს. ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, წევრებს შეუძლიათ წამოაყენონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით, თუ ეს წევრი ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება. ერთ-ერთმა დიპლომატმა „როიტერს“ განუცხადა, რომ ალიანსი ფრთხილად იმოქმედებს და დრო სჭირდება იმის გადამოწმებისთვის, თუ როგორ მოხდა ინციდენტი.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალები, გასული დღის განმავლობაში, თავს დაესხნენ ოკუპანტებს დნიპროს მარცხენა სანაპიროზე და კინბურნსკა კოსას ტერიტორიაზე, - ინფორმაციას უკრაინის ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ ავრცელებს. მათივე ცნობით, უკრაინელმა სამხედროებმა 50-ზე მეტი საცეცხლე მისია შეასრულეს. „თავდაცვის ძალების სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა განახორციელეს შეტევები მტრის პოზიციებზე და ცოცხალი ძალის, აღჭურვილობისა და იარაღის კონცენტრაციის უბნებზე“, - აცხადებენ სარდლობაში. მათივე ცნობით, უკრაინელების შეტევის შედეგად ლიკვიდირებულია 17 ოკუპანტი, განადგურდა და დაზიანდა 15 ჯავშანმანქანა, ორი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი და Orlan-10 ტიპის სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატი. გარდა ამისა, უკრაინელებმა ნოვაია კახოვკასა და ოლეშკიში რუსული ძალების საბრძოლო მასალის ორი საცავი გაანადგურეს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნისა და მომავალი თაობების ღალატია“

მე-3 გვერდიდან

- უდავოა, რომ ოპოზიციის და ხელისუფლების ურთიერთდაპირისპირება არჩევნების ჩატარებასაც უკავშირდება. მმართველი პარტიის წევრებმა თქვეს, რომ 2024 წლის არჩევნები საქართველოში ელექტრონული ფორმით ჩატარდება, მაგრამ ამან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გააჩინა, მაგალითად, შეძლებენ თუ არა ელექტრონულ არჩევნებში მონაწილეობას ემიგრანტები?

- ემიგრანტების თემა ძალიან მნიშვნელოვანია და პრინციპული დატვირთვა აქვს. თუ არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებას ვაპირებთ, ემიგრანტებმაც აუცილებლად უნდა მიიღონ მასში მონაწილეობა, რაც, ვფიქრობ, ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, რადგან მათი მხრიდან დაშინება და მოსყიდვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვერ მოქმედებს.

- პარლამენტი განიხილავს ახალი სახალხო დამცველის შერჩევის საკითხს, როგორ შეაფასებდით ამ პროცესს? სხვათა შორის, მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ყოფილი სახალხო დამცველი ტენდენციური იყო მათ მიმართ...

- დღეს მოქმედი სახალხო დამცველი თავის საქმეს აკეთებდა, ანუ ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხებში იგი კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ, ხელისუფლებას კრიტიკა არ მოსწონს და ყველანაირად ეცდება, რომ ახალ სახალხო დამცველს მმართველი პარტიის მიმართ მხოლოდ დითირამბები ამოსდიოდეს პირიდან. ამაზე მეტყველებს კანდიდატების საკომიტეტო მოსმენებიც პარლამენტში, სადაც მათ სოციალურ ქსელში რამდენიმე წლის წინანდელ კრიტიკულ კომენტარებსაც უხსენებდნენ. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ უმრავლესობამ პარლამენტში სპეკტაკლი დადგა, რომელიც მათთვის არასასურველი კანდიდატების გასაშავებლად იყო გამოყენებული.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: უკრაინამ ხერსონი გაათავისუფლა, თქვენი აზრით, დაწყებულია თუ არა ამ ომში გარდატეხა უკრაინელთა სასარგებლოდ და რას უნდა ველოდოთ?

- ხერსონის აღებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და მორალური დატვირთვა აქვს უკრაინისთვის. რუსეთი ამ ომს აგებს და ხერსონის აღებამ ამას ბეჭედი დაუსვა. უბრალოდ, არავის შეუძლია თქვას, რა დროით გაიჭიმება საბრძოლო ოპერაციები. უნდა ვიფიქროთ, რომ, ყველაზე გვიან, მომდევნო წლის გაზაფხულზე მნიშვნელოვანი გარდატეხის მომსწრენი უნდა გავხდეთ უკრაინის შეიარაღებული ძალების მხრიდან.

- დაბოლოს, წყდება თუ არა უკრაინაში ახალი მსოფლიო წესრიგის ბედი და ამ მხრივ საქართველოს მომავალი როგორ გესახებათ?

- დიახ, მომავალი მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურა როგორი იქნება, დღეს სწორედ უკრაინაში წყდება, სადაც რამდენიმე ქვეყანა თავად უკრაინასთან ერთად იქნება ტონის მიმცემი. საქართველოსაც შეეძლო თავისი სიტყვის თქმა ამ ისტორიულ პროცესებში. თუმცა დღევანდელი მთავრობის პოზიცია პირში წყლის დაგუბებაა და მეტი არაფერი. არ ვჩანვართ და არც ამბიცია გვაქვს არაფრის, ასეთია ოფიციალური თბილისის პოლიტიკური პოზიცია.

„ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნისა და მომავალი თაობების ღალატია“

ხორვატია, რუმინეთი და ბულგარეთი - შენგენის ზონაში (?)

ევროკომისიის ოფიციალურ საიტზე განთავსებულ განცხადებაში წერია, რომ ევროკომისია შენგენის ზონაში ხორვატიის, რუმინეთისა და ბულგარეთის მიღების რეკომენდაციას გასცემს: „წლების განმავლობაში ამ წევრმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შენგენის ზონის კარგად ფუნქციონირებაში. მაშინ, როდესაც ეს სამი ქვეყანა უკვე ნაწილობრივ ემორჩილება შენგენის წესებს, ამ წევრ ქვეყნებთან შიდა საზღვრის კონტროლი არ არის მოხსნილი და, შესაბამისად, ისინი არ სარგებლობენ შენგენის ზონაში ყოფნის ყველა უპირატესობით შიდა საზღვრის კონტროლის გარეშე. შენგენის ზონის სრული წევრობა ამ ქვეყნების მოთხოვნაა და, შესაბამისად, მათ უნდა მიეცეთ ამის საშუალება იმის გათვალისწინებით, რომ ისინი პირობებს აკმაყოფილებენ“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 8 დეკემბერს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საბჭო კენჭს უყრის შენგენის ზონაში ბულგარეთის, რუმინეთისა და ხორვატიის სრულ გაწევრიანებას შიდა საზღვრის კონტროლის გარეშე.

ამირან გურიელიძე

ასთმა და ამინდი

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ასთმა სასუნთქი გზების ანთებით მიმდინარე ქრონიკული დაავადებაა, რომელიც იწვევს ლორწოს გაძლიერებულ წარმოქმნას, სასუნთქი გზების ჰიპერრეაქტიულობას, შევიწროებას და დახშობას. ამას თან ახლავს ხველა, მსტვენი სუნთქვა, ქოშინი, მოჭერის შეგრძნება გულმკერდის არეში. სურათი მეტად მძიმეა და ზოგჯერ სიცოცხლისთვის სახიფათოც კი, თუ დროულად არ მოხდა ასთმის შეტევის კუპირება.

ჯანმოს მონაცემებით, ასთმა მეოთხე ადგილს იკავებს ავადობის გლობალურ სტრუქტურაში. დღეისთვის ასთმით 100 მილიონზე მეტი ადამიანია ავად და, სამწუხაროდ, მატების ტენდენცია შეინიშნება. სტატისტიკურად, უფრო ხშირია 40 წლამდე ასაკის პირებში, ბავშვებში და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონეებში. 14 წლამდე ბრონქული ასთმით დაავადების ალბათობა ვაჟებს უფრო დიდი აქვთ, ხოლო სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან - გოგონებს. 40 წელს გადაცილებულ პაციენტებს შორის ქალი 2-ჯერ მეტია.

ასთმით დაავადებულის სასუნთქი გზები მგრძნობიარეა და მძაფრად რეაგირებს გარეგან ფაქტორებზე. მაპროვოცირებელი ფაქტორებია: თამბაქოს კვამლი; ალერგენები (მცენარეები, სოკოს სპორები, მტვერი, ცხოველების კანი და ბეწვი); დაბინძურებული ჰაერი; მწვავე რესპირატორული ინფექციები (სინუსიტი, გაცივება, გრიპი); პარფიუმის ან ქიმიური საშუალებების მძაფრი სუნი; ფიზიკური დატვირთვა; ზოგიერთი საკვები; ამინდი; ძლიერი ემოცია (აღელვება, ტირილი, სიცილი, სტრესი); მედიკამენტები (მაგ. ასპირინი)...

დღეს ამინდის გავლენაზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რადგან მისი მართვა მხოლოდ ბუნების ძალებს შეუძლია, ხოლო დანარჩენ ფაქტორებს მეტ-ნაკლებად ასთმით დაავადებული ადამიანი თავად აგვარებს. ამგვარად, ასთმური შეტევის პროვოცირება შეუძლია: სიცხეს, სიცივეს, მაღალ ტენიანობას, ამინდის უეცარ ცვლილებას, წვიმას, ქარს, ჭექა-ქუხილს.

ზამთარი ყველაზე უარყოფითად აისახება ასთმით დაავადებულებისთვის - ცივი და ნესტიანი ჰაერი სასუნთქი გზების შევიწროებას და ასთმურ შეტევას იწვევს. ამას ემატება გახშირებული მწვავე რესპირატორული ინფექციები, გრიპი, გაცივება... ცხელ დღეებში ასთმის გამწვავება კი ოზონის ბრალია. ოზონი, როგორც ვიცით, არის აირი, რომელიც ბუნებრივად გროვდება სტრატოსფეროში და ულტრაიისფერ სხივებს შთანთქავს, რითაც ერთგვარად გვიცავს. ადამიანებისა და მცენარეებისთვის ოზონი მომწამვლელია, ამიტომ დედამიწის ზედაპირზე მისი დაგროვება საშიშია. ოზონი წარმოიქმნება ავტომობილების, ქარხნების გამონაბოლქვის და სხვა ქიმიური ნივთიერებების მზის სხივებთან ურთიერთქმედების შედეგად. მაღალი კონცენტრაციის ოზონით დიდხანს სუნთქვა ვნებს სასუნთქ სისტემას, აროვევს ფილტვების ფუნქციას და იწვევს სასუნთქი გზების ანთებას, რასაც ასთმის გამწვავება აუცილებლად სდევს თან.

ჭექა-ქუხილის დროს ჰაერის ტენიანობა იმატებს, რაც ხელს უწყობს სოკოების ზრდა-გამრავლებას, ქარი კი შორ მანძილზე ფანტავს სოკოს სპორებს და სხვა მცენარეულ ალერგენებს, რაც ასთმის შეტევის პროვოცირებას იწვევს.

ასთმის შეტევის დროს, უპირველეს ყოვლისა, ვიძახებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. შეტევის დროს შესამჩნევია მეტყველებისა და მოძრაობის გაძნელება, ტუჩებისა და ფრჩხილების ციანოზი. თუ ავადმყოფმა იცის, რა დაუნიშნა ექიმმა ასეთი შეტევის დროს, დაეხმარეთ წამლის მიღებაში, თუ არ იცით, სასწრაფოს მოსვლამდე გაუწიეთ პირველადი დახმარება: დასვით კომფორტულ პოზაში, გაუხსენით მოჭერილი ტანსაცმელი (ქამარი, ღილები, საყელო...), თუ აქვს ინჰალატორი, ჩაუტარეთ ინჰალაცია (ფლაკონი შეანჯღრიეთ, ავადმყოფმა უნდა ამოისუნთქოს, შემდეგ პირი მაგრად მოუჭიროს, შეისუნთქოს 4-ჯერ თითოწუთიანი შუალედებით და შესუნთქვიდან 10 წამის განმავლობაში არ ამოისუნთქოს... თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ინჰალაცია გააგრძელეთ ყოველ 20 წუთში 4-8 შესუნთქვით სასწრაფოს მოსვლამდე).

ასთმით დაავადებულებს გარკვეული სიფრთხილე მართებთ, როცა სინოპტიკოსები ჭირვეულ ამინდს ვარაუდობენ. უპირველეს ყოვლისა, თან უნდა ატარონ ინჰალატორი, რომელიც დაეხმარება შეტევის დროს; თბილი შენობიდან ცივ ქუჩაში გასვლისას ცხვირ-პირზე შარფი უნდა შემოიხვიონ, ეცადონ ცხვირით სუნთქვას, რადგან ჰაერი უკეთ თბება და იფილტრება; ქარიან ამინდში ქუჩაში სიარულს მაქსიმალურად უნდა მოერიდონ; მცენარეებთან კონტაქტის შემდეგ უნდა გამოიცვალონ ტანსაცმელი და მიიღონ შხაპი; თუ ძალიან ცხელა, 12-დან 17 საათამდე უნდა ერიდონ მზის გულზე ყოფნას, მძიმე ფიზიკურ აქტივობებს, მიიღონ ბევრი სითხე, ჩართონ კონდიციონერი და დახურონ კარ-ფანჯრები.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძღვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/11/22, 22 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ფესტივალი, რომელშიც ყველა სიამოვნებით მონაწილეობს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-17 საერთაშორისო ფესტივალს წელსაც ბათუმის მერია (ფინანსურად) და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (სწორედ ეს სასწავლებელი მასპინძლობს მას უშუალოდ) დაუდგნენ გვერდით. მისი ორგანიზატორი მუსიკისმცოდნე ხათუნა მანაგაძე, როგორც ყოველთვის, წელსაც წარმატებით წარუძღვა ღონისძიებას. აქვე მინდა აღვნიშნო - ფესტივალში მონაწილეობის სურვილს ბევრი მეცნიერი და სასიმღერო კოლექტივი რომ გამოთქვამს, ეს მისი, როგორც გულღია, პროფესიონალი მასპინძლის დამსახურებაცაა

წელსაც მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზა ფესტივალმა მონაწილეებსა და სტუმრებს. სასიმღერო-საკონცერტო ნაწილში გუნდები, ძირითადად, საქართველოდან იყვნენ, მათ შორის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო მუსიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ჯგუფი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, „მუსიკელი“, „ჭვანა“, „მოყვარე“, „იაგუნდი“, „იალონი“ და „ქორალი“ (უკრაინა).

საკონცერტო ნაწილში უცხოეთიდან მხოლოდ უკრაინელები მონაწილეობდნენ, თუმცა სამეცნიერო კონფერენციაზე მეცნიერები იაპონიიდან, იტალიიდან, ბრიტანეთიდან,

თურქეთიდან ჩამოვიდნენ. აღინიშნა, რომ თითოეული მომხსენებლის თემა საჭიროებს გულდაგულ შესწავლას ამ სფეროს წარმომადგენლების მხრიდან.

ქალბატონი სიუზენ თომპსონი ინგლისიდანაა. პირველად ფესტივალზე ლონდონის მომღერალთა გუნდ „მასპინძელთან“ ერთად ჩამოვიდა, რომელიც თავიდანვე იმიტომ შეიქმნა, რომ მხარი დაეჭირა გიორგი გარაყანიძის ოჯახისთვის და როცა გაიგეს, რომ ფესტივალი მისი სახელობის იყო, წლების წინ ბათუმში დიდი სიხარულით ჩამოვიდნენ. „მასპინძელი“ დაახლოებით ოცი წელია, არსებობს. მასში მოყვარული მუსიკოსები არიან გაერთიანებული, წელს ანსამბლი არ ჩამოსულა, მაგრამ თავად ქალბატონი სიუზენი კონფერენციაში მონაწილეობდა და თემა წარადგინა. „მასპინძელის“ პირველი მასწავლებელი იყო ჰელენ ჩაკვიკი, რომელიც გიორგი გარაყანიძის მეგობარი გახლდათ და აჭარაში ამ სფეროს საკვლევად ჩამოვიდა. „როცა ქართულ სიმღერას ვმღერით, თავს კომფორტულად ვგრძნობთ. მომწონს, როცა ქართულ სიმღერას ერთად რამდენიმე ადამიანი ვასრულებთ“, - თქვა მან.

უკრაინელები ავთენტური მუსიკის ანსამბლ „ქორალით“ მესამედ ჩამოვიდნენ ფესტივალზე. პირველად ათი წლის წინ იყვნენ. ისინი სამნი არიან - ეთნომუსიკოლოგი ლარისა ლუკაშენკო, რომელიც შარშან კონფერენციაში მონაწილეობდა, წელს ომის გამო ეს ვერ მოახერხა, მუსიკოსი გალინა პუხილევიჩი (ვიოლინო) და თოჯინების თეატრის მსახიობი ლუდმილა ზბოროვსკა. როგორც ლუდმილამ გვითხრა, დადიან ექსპედიციებში და უკრაინის სხვადასხვა რეგიონის სიმღერებს აგროვებენ. გალინამ და ლუდმილამ წიგნიც კი გამოსცეს ამის შესახებ. მასში ასევე შევიდა ცნობები პოლონეთსა და ბელარუსში მცხოვრებ უკრაინელთა შესახებ. ლვოვიდან არიან და ამბობენ, რომ არსად წასვლას არ ვაპირებთო. ვფიქრობთ, როგორ დავეხმაროთ უკრაინას გამარჯვებაში. ძირითადი საქმიანობის გარდა, თავისუფალ დროს, მოხალისეობა დაიწყეს, ყიდულობენ მასალებს, ფრონტისთვის ქსოვენ სპეციალურ ბადეებს, საქველმოქმედო კონცერტებით გამოდიან, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის აგროვებენ თანხას, საჭიროების მიხედვით ყიდულობენ მათთვის სხვადასხვა ნივთს.

- 2005 წლიდან დაიწყო ეს ფესტივალი. სიმღერას ერთად რამდენიმე ადამიანი ვასრულებთ“, - თქვა მან.

უკრაინელები ავთენტური მუსიკის ანსამბლ „ქორალით“ მესამედ ჩამოვიდნენ ფესტივალზე. პირველად ათი წლის წინ იყვნენ. ისინი სამნი არიან - ეთნომუსიკოლოგი ლარისა ლუკაშენკო, რომელიც შარშან კონფერენციაში მონაწილეობდა, წელს ომის გამო ეს ვერ მოახერხა, მუსიკოსი გალინა პუხილევიჩი (ვიოლინო) და თოჯინების თეატრის მსახიობი ლუდმილა ზბოროვსკა. როგორც ლუდმილამ გვითხრა, დადიან ექსპედიციებში და უკრაინის სხვადასხვა რეგიონის სიმღერებს აგროვებენ. გალინამ და ლუდმილამ წიგნიც კი გამოსცეს ამის შესახებ. მასში ასევე შევიდა ცნობები პოლონეთსა და ბელარუსში მცხოვრებ უკრაინელთა შესახებ. ლვოვიდან არიან და ამბობენ, რომ არსად წასვლას არ ვაპირებთო. ვფიქრობთ, როგორ დავეხმაროთ უკრაინას გამარჯვებაში. ძირითადი საქმიანობის გარდა, თავისუფალ დროს, მოხალისეობა დაიწყეს, ყიდულობენ მასალებს, ფრონტისთვის ქსოვენ სპეციალურ ბადეებს, საქველმოქმედო კონცერტებით გამოდიან, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის აგროვებენ თანხას, საჭიროების მიხედვით ყიდულობენ მათთვის სხვადასხვა ნივთს.

- 2005 წლიდან დაიწყო ეს ფესტივალი. მე და ხათუნამ ერთად ჩამოვაყალიბეთ. თავიდან საკავშირო იყო. ორი წლის შემდეგ საერთაშორისო გახდა. არის ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალი, თავიდანვე ითქვა, რომ მონაწილე კოლექტივები წარმოადგენდნენ სიმღერებს მხოლოდ ავთენტური შესრულებით და ეს მოთხოვნა დღემდე რჩება ძალაში. რა თქმა უნდა, საქართველოში არაჩვეულებრივი გუნდები გვყავს ყველა რეგიონში, მაგრამ ავთენტურად არც ისე ბევრი მღერის. წელს ფესტივალი მეჩვიდმეტედ ტარდება და იმავე მოთხოვნით. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ქართული ხალხური სიმღერის შესრულება ავთენტურად არ ექვემდებარება ტემპერირებულ წყობას, ანუ ის, რაც ფორტეპიანოზე შესრულდება, არ იქნება ხალხური. სასიამოვნოა, რომ ყოველწლიურად ფესტივალს არაჩვეულებრივი გუნდები უერთდება. წელს ბატონმა თამაზ გაბისონიამ შესანიშნავი გუნდი ჩამოიყვანა თბილისიდან, - გვითხრა პროფესორმა ქეთევან გოგოლაძემ.

როგორც გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო მუსიკის უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგმა თეონა რუხაძემ აღნიშნა, ფესტივალზე წარმოდგენილი გუნდი სხვადასხვა კურსის სტუდენტებისგან შედგება. სასწავლებელი სპეციალიზებულია და ძირითადად, ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლაზეა ორიენტირებული. სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, საკრავებს, საგალობლებს. სასწავლებლის სტუდენტები ამ ფესტივალზე პირველად არ გამოდიან. ისინი ასრულებენ ყველა კუთხის სიმღერებსა და სხვადასხვა სკოლის საგალობლებს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ფესტივალის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილია სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც ყოველთვის აქტუალური და საყურადღებო თემებით გამოდიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები.

წელს ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ კაე ჰისაოკა (იაპონია), ომერ ფარუქ დემირთაში და ალი კელეში (თურქეთი), ლორენცო ფიორიტო (იტალია), სიუზან თომპსონი (ბრიტანეთი).

- პირველად ვმონაწილეობ ამ კონფერენციაში, თანაც მედიის წარმომადგენელი ვარ და არა პროფილით მომუშავე. ფესტივალის შესახებ ძალიან ბევრი მსმენია და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ფესტივალიც და კონფერენციაც ძალიან პრესტიჟულად მიიჩნევა. სასიხარულოა, რომ საინტერესო თემები მოვისმინე, ჩემთვის, არასპეციალისტისთვისაც კი, ყველა გამოსვლა საგულისხმო იყო. ძალიან დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ყელში ბურთი მეჭირება, როცა ამ სიმღერებს ვისმენ, - აღნიშნა ლაურა კუტუბიძემ.

ხათუნა მანაგაძემ ფესტივალის ბოლო დღეს მადლობა გადაუხადა ყველას მონაწილეობისთვის და თითოეულ მათგანს სერტიფიკატები გადასცა. მადლობა, რა თქმა უნდა, ბათუმის მერიამ და სასწავლო უნივერსიტეტმაც დაიმსახურეს, ასევე, ქეთევან გოგოლაძემ და გივი ნახუცრიშვილმა, რომლებიც დაფუძნების დღიდან ფესტივალს გვერდით უდგანან. ის ლოგო, რომელიც აფიშას და სერტიფიკატებს ამშვენებს, სწორედ ქალბატონი ქეთევანის ნამუშევარია.